„ვამტკიცებ“

შპს „სსსც ეკვატორის“ დირექტორი

_____ ა.მგელაძე

დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის
2024 წლის 26 იანვრის N 00000691 ბრძანებით

ხარისხის სისტემის ანალიზი
ნდ №2-02-08 ქ

ბათუმი
2024

სარჩევი

სარჩევი 2
ხარისხის მენეჯმენტის სისტემის ანალიზის დახასიათება 3
ხარისხის მართვის სისტემა 5
სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმის და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში 5
ორგანიზაციული სტრუქტურის ანალიზი 6
საანგარიშო პერიოდში ნორმატიულ დოკუმენტებში განხორციელებული ცვლილებები 7
ინფრასტრუქტურა 7
სსსც ეკვატორის მიერ ჩატარებული ხმს-ის შიდა აუდიტი 8
საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მონიტორინგი 9
საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს აუდიტი აღიარების მიზნით 10
სერტიფიკაციის ასოციაცია „რუსული რეგისტრი“-ს აუდიტი 11
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები 11
პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა 12
2022-2023 სასწავლო წელს ჩარიცხული პროფესიული სტუდენტები 12
დიპლომირება 13
მეზღვაურთა სასწავლო, საწვრთნელი და სერტიფიცირების ცენტრი 13
ადამიანური რესურსების მართვა, თანამშრომელთა მომსახურება 14
ბიბლიოთეკა 16
საქმისწარმოება 17
2023 წლის ხარისხის მიზნების შესრულების ანალიზი 17
კვლევები 18
2023 წლის რისკების შეფასება 22
ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები 22
გამომავალი მონაცემები 24
კონფიდენციალურობა 24
დებულებაში ცვლილებათა აღრიცხვის ფურცელი 24
პერიოდული შემოწმების აღრიცხვის ფურცელი 24

ხარისხის მენეჯმენტის სისტემის ანალიზის დახასიათება

ხარისხის სისტემის გამართული და ეფექტური ფუნქციონირებისათვის, ხარისხის მენეჯერი ყოველი კალენდარული წლის ბოლოს, საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორის ხელმძღვანელობას წარუდგენს, ხარისხის მენეჯმენტის სისტემის ანალიზის ანგარიშს, რომლის მიზანია დაწესებულების საქმიანობისა და რესურსების უწყვეტი შეფასება და განვითარება ხარისხის შენარჩუნების და გაუმჯობესების მიზნით. ამასთან, ხდება მიღწევების იდენტიფიცირება და გასაუმჯობესებელი ძირითადი ასპექტების გამოყოფა.

ხმს-ის ანალიზი ტარდება:

- ✓ ხარისხის მართვის სისტემის დამაკმაყოფილებელი და უწყვეტი მუშაობის დამტკიცების მიზნით, ასევე იმ მიზნით, რომ შემოწმდეს „სსსც ეკვატორში” ხმს-ის მუდმივი და ეფექტური მუშაობა, მომხმარებლის მოთხოვნების შესაბამისად, თავისი მომსახურების გაუმჯობესებისათვის;
- ✓ დასამოწმებლად, აკმაყოფილებს თუ არა სასწავლებლის პოლიტიკა და მიზნები ISO 9001:2015 საერთაშორისო სტანდარტს, შეესაბამება თუ არა პროცესები სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის და სხვა „სსსც ეკვატორის“ საქმიანობასთან დაკავშირებულ ეროვნულ და საერთშორისო მოთხოვნებს, საკანონმდებლო აქტებს.

ხარისხის მენეჯმენტის სისტემის ანგარიში არის შემაჯამებელი დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც დაწესებულების მენეჯმენტი შეიმუშავებს განვითარების გეგმებს, ღებულობს მოდიფიკაციის ან/და გაუმჯობესების გადაწყვეტილებებს და უზრუნველყოფს სისტემის ეფექტური ფუნქციონირებისთვის საჭირო რესურსებს. ასევე, უზრუნველყოფს დასახული ამოცანებისა და აქტივობების თანმიმდევრულ მიღწევას, ზრდის მიმდინარე პროცესების პროდუქტიულობას, ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის კოორდინირებულად და ეფექტურად წარმართვას, მომხმარებელთა კმაყოფილების მაჩვენებლის ზრდას, მარეგულირებელი მოთხოვნების ეფექტურ იმპლემენტაციას, დანერგილი ხარისხის მართვის სისტემის შენარჩუნებას და განვითარებას.

ანგარიში ასახავს მიმდინარე პროცესებს, მათზე შიდა და გარე ფაქტორების ზეგავლენას, სწორი პერიოდში მიღწეულ შედეგებს და შემაჯამებელ შეფასებას. საინფორმაციო და ანალიტიკური ანგარიშები მოიცავს დაწესებულების ყველა მიმართულებას: საგანმანათლებლო პროგრამები, საწვრთნელი პროგრამები, სწავლა-სწავლება, სერვისები, რესურსები, მართვა.

პროცესი:	„სსსც ეკვატორის“ ხარისხის მართვის სისტემის ანალიზი
პასუხისმგებელი:	„სსსც ეკვატორის“ ხარისხის მენეჯერი
შემსრულებელი:	„სსსც ეკვატორის“ ხარისხის მენეჯერი ხარისხის მართვის სპეციალისტი; პერსონალი, რომელსაც ევალება ანგარიშის დოკუმენტების მომზადება
შემოსული მონაცემები:	მონაცემები: ➢ წინა ანალიზის შედეგების ღონისძიებეთა ჩატარების შედეგები; ➢ ხმს-ის შიდა შემოწმების შედეგები; ➢ შიდა ღონისძიებები; ➢ სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ ჩატარებული აუდიტის შედეგები; ➢ რუსული რესგისტრის აუდიტორების მიერ ჩატარებული აუდიტის შედეგები; ➢ პსდ პროცესების შეფასება, ანალიზი; ➢ ფუნდამენტალური პროცესების შენარჩუნება; ➢ სამუშაოები განხორციელებული ყოველდღიურ მუშაობაში აღმოჩენილი შეუსაბამობებისა; ➢ ნორმატიული დოკუმენების საკმარისობა სსსც ეკვატორის ხმს-ის ეექტური მუშაობისთვის;
გასული მონაცემები:	ხმს-ის ანალიზის ანგარიში, განკარგულებები, ბრძანებები რაიმე კონკრეტულ საკითხზე მუშაობის გაუმჯობესების თვალსაზრისით
შედეგიანობის კრიტერიუმები:	მიზნების მიღწევა ხარისხის დარგში

ხარისხის მართვის სისტემა

„სსსც ეკვატორში“ მიმდინარე პროცესების ეფექტურად წარმართვისთვის, ხარისხის მართვის სამსახური თანამშრომლობდა კოლეჯის ყველა სტრუქტურულერთეულთან / პროცესზე პასუხისმგებელ პირთან, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან / მსმენელბთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან. სამსახურმა უზრუნველყო არსებული რესურსების ეფექტიანი გამოყენება და კოლეჯში მოქმედი რეგულაციების კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა. ხარისხის მენეჯმენტის სისტემის მუდმივი გაუმჯობესების მიზნით კოლეჯში დანერგილი საერთაშორისო სტანდარტის ISO 9001:2015 შესაბამისად ხარისხის მართვის სამსახურმა, როგორც პასუხისმგებელმა ხარისხის დარგში პოლიტიკის, მიზნებისა და ამოცანების შესრულებაზე, განახორციელა შიდა აუდიტები სტრუქტურულ ერთეულებში, რომელიც ასევე პასუხისმგებელია აუდიტის შედეგად გამოვლენილი შეუსაბამობების მაკორექტირებელ ქმედებათა შესრულებაზე, კონტროლზე და ანგარიშგებითი დოკუმენტაციის მომზადებაზე.

სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმის და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

სტრატეგიული გეგმის შესაბამისად სასწავლებლის მიერ იდენტიფიცირებულია ექვსი ძირითადი სტრატეგიული მიზანი:

სტრატეგიული მიზანი№1. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება-გაუმჯობესება;

სტრატეგიული მიზანი№2. პროფესიული საგანმანათლებლო და სასერტიფიკატო პროგრამების შემუშავება / განხორციელება;

სტრატეგიული მიზანი№3. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების პერმანენტული განვითარება;

სტრატეგიული მიზანი№4. სტუდენტური სერვისების გაუმჯობესება-განვითარება;

სტრატეგიული მიზანი№5. დაწესებულების ორგანიზაციული განვითარება და პოპულარიზაციის უზრუნველყოფა;

სტრატეგიული მიზანი№6. საზღვაო სფეროს ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებზე ორიენტირება;

სტრატეგიული გეგმის საფუძველზე დაწესებულებამ შეიმუშავა 2023 წლის სამოქმედო გეგმა. სამოქმედო გეგმის შესრულების კონტროლი ხდებოდა კვარტალში ერთხელ. სამოქმედო გეგმა შესრულდა 97 %-ით. არ შესრულებულა მხოლოდ ერთი ამოცანა ''ეფექტური მომსახურების სტანდარტების ამაღლების მიზნით დაგეგმილი ტრენინგი კოლეჯის პერსონალისთვის'' . ვერ იქნა მოძიებული შესაბამისი საჭიროების ტრენინგი, თუმცა ეს აქტივობა გადავა 2024 წლის სამოქმედო გეგმაში

ორგანიზაციული სტრუქტურის ანალიზი

2023 წელს სსსც ეკვატორის ორგანიზაციულ სტრუქტურაში ცვლილება არ განხორციელებულა.



- 2023 წელს პედაგოგიურ პერსონალს დაემატა 12 ახალი თანამშრომელი:
  - პროფესიული განათლების მასწავლებელი - 9.
  - საწვრთნელი ცენტრის ინსტრუქტორი - 3.



საანგარიშო პერიოდში ნორმატიულ დოკუმენტებში განხორციელებული ცვლილებები

2023 წელს განახლდა „სსსც ეკვატორის“ ნორმატიული ბაზა, მათ შორის შეიცვალა 21 ნორმატიული დოკუმენტი, რაც ხმს საერთო დოკუმენტების 31 % შეადგენს.

საერთო ნორმატიული ბაზის განახლება		
№	დასახელება	თარიღი
1	„სსსც ეკვატორის დებულება“ (2-01-01)	11.08.2023
2	დოკუმენტთა მართვის პროცედურა (2-02-02)	20.09.2023
3	ორგანიზაციის კონტექსტი (2-02-03)	23.01.2023
4	შიდა აუდიტის ჩატარების პროცედურა (2-02-05)	11.08.2023
5	„ორგანიზაციის კონტექსტი“ (2-02-03)	23.01.2023
6	ხარისხის პოლიტიკა და მიზნები (2-02-13)	23.01.2023
7	რისკების რეესტრი (2-02-15)	15.01.2023
8	შიდა და გარე მოქმედი ნორმატიული დოკუმენტებისა და მოქმედ ფორმათა ფონდის ჩამონათვალი	2023 წ
9	ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები 2-02-19	01.02.2023
10	სსსც ეკვატორში საზღვაო საწვრთნელი კურსის განხორციელების დებულება 2-04-01	11.08.2023
11	საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა	24.01.2023
12	შპს სსსც ეკავტორის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი	31.01.2023

ინფრასტრუქტურა

დაწესებულებამ 2019 წელს ავტორიზაცია გაირა მისამართზე: ბათუმი, შავშეთის ქ. N33 და ბათუმგორის ჩიხი N2 იჯარის ხელშეკრულებების საფუძველზე.

შავშეთის ქ. N33 –ში მდებარე შენობის ფართიდან კოლეჯს აღებული ჰქონდა 673 კვ.მ. ფართი. დღეისათვის, კოლეჯის ფართი გაიზარდა 653.18 კვ.მ–ით (პირველი სართულის იჯარით აღების და სრულად აღჭურვის საფუძველზე) და გახდა 1326,18 კვ.მ. ასევე, კოლეჯს იჯარით აღებული აქვს 300 კვ.მ ფართი მისამართზე – ბათუმი, ბათუმგორის ჩიხი N2, სადაც განთავსებული და შესაბამისად, თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი აქვს ხანძარსაწინააღმდეგო ტრენაჟორი, სამღებრო საქმის მოდულის სახელოსნო.

კოლეჯს მფლობელობაში აქვს 12 პროექტორი (6 პროექტორი იყო 2019 წელს), 11 ასლგადამღები/პრინტერი, და 62 კომპიუტერი (32 კომპიუტერი იყო 2019 წელს) აქედან 5 კომპიუტერი

განთავსებულია ბიბლიოთეკაში, B გარემოში – 30 (2 კომპიუტერული კლასი) პროფესიული სტუდენტებისთვის და 2 (1-1) კომპიუტერი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის). ადმინისტრაცია იყენებს 10 კომპიუტერს; დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური რესურსი აკმაყოფილებს არა მარტო პროგრამით დადგენილ პირობებს, არამედ საზღვაო სფეროში არსებულ საერთაშორისო კონვენციებით და სტანდარტებით განსაზღვრულ საკმაოდ მკაცრ მოთხოვნებს. სასწავლო აუდიტორიები და ასევე C გარემო აღჭურვილია მოდულების შესაბამისად ბოლო მოდელის საწვრთნელი ტრენაჟორებით და მოწყობილობებით.

დაწესებულების საკუთრებაშია: კეთილმოწყობილი სასწავლო კორპუსი, საერთაშორისო საზღვაო სტანდარტების შესაბამისი თანამედროვე ტრენაჟორები, როგორიცაა სამაშველო ტივი, კაპიტნის ხიდურის სიმულატორი, სამანქანე განყოფილების სიმულატორი, რადიოლოკაციური სიმულატორი და სხვა. კოლეჯმა ასევე უზრუნველყო, 50 პირზე გათვალისწინებული საკონფერენციო დარბაზის აღჭურვა.

დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური რესურსი აკმაყოფილებს არა მარტო პროგრამით დადგენილ პირობებს, არამედ საზღვაო სფეროში არსებულ საერთაშორისო კონვენციებით და სტანდარტებით განსაზღვრულ საკმაოდ მკაცრ მოთხოვნებს.

აღსანიშნავია, რომ პროგრამების სპეციფიკიდან გამომდინარე, დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაბამისობის რეგულარული შემოწმება ხდება საერთაშორისო ნორმებთან მიმართებაში საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ.

კოლეჯი ყურადღებით ეკიდება პერსონალის მოზიდვისა და მათი სამუშაო გარემოსთან ადაპტაციის საკითხს, განსაკუთრებით ეს ეხება პროფესიული განათლების მასწავლებლების პროფესიული განვითარებისათვის ზრუნვას, რისთვისაც დაწესებულება სისტემატურად უზრუნველყოფს მათ საჭირო სამუშაო შეხვედრებითა და ტრენინგებით.

პრაქტიკის განხორციელების მიზნით, კოლეჯს გაფორმებული აქვს მემორანდუმი ბათუმის საზღვაო ნავსადგურთან, შპს „ლმნტ“ -თან და შპს „სენდ“ -თან. სამივე პარტნიორი ორგანიზაცია სრულად უზრუნველყოფს პროგრამის პროფესიული სტუდენტების პრაქტიკას.

2023 წელს, სსსც ეკვატორის, მიმდინარე პროგრამების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გათანამედროვება / განახლების მიზნით, შეძენილ იქნა ნავის ჩასაშვები ამწე მექანიზმი და განხორციელდა მისი მონტაჟი. შეძენილია მეხანძრის 2 სრული ეკიპირება.
2023 წელს უახლესი თაობის პროგრამული უზრუნველყოფით განახლდა - Bridge Resource Management სიმულატორი.

სსსც ეკვატორის მიერ ჩატარებული ხმს-ის შიდა აუდიტი

ხარისხის მენეჯმენტის სისტემის მუდმივი გაუმჯობესების მიზნით, დაწესებულებაში დანერგილი საერთაშორისო სტანდარტის ISO 9001:2015 შესაბამისად, ხარისხის დარგში პოლიტიკის, მიზნებისა და ამოცანების შესრულებაზე განახორციელდა შიდა აუდიტი დაწესებულების ყველა სტრუქტურული

ერთეულისთვის. აუდიტის შედეგად აღმოჩენილი შეუსაბამობების საფუძველზე, ხარისხის მენეჯერმა, სტრუქტუტული ერთეულების მენეჯერებთან ერთად შეიმუშავა ანგარიში, რომელშიც ასახულია გამოვლენილი შეუსაბამობები და გაცემული რეკომენდაციები.

2023 წლის 14-15 დეკემბერს სტრუქტურულ ერთეულებში ჩატარებული გეგმიური შიდა აუდიტის დროს, აუდიტორების მიერ შემოწმდა დაწესებულების საქმიანობა დაწესებულების მიერ დადგენილი შიდა მექანიზმებისა და ISO 9001:2015 სტანდარტების მოთხოვნის შესაბამისად. შიდა აუდიტი ჩატარდა წინასწარ დამტკიცებული პროგრამის შესაბამისად და გამოვლინდა: 1 შეუსაბამობა, 1 შენიშვნა, 2 რეკომენდაცია.

შეუსაბამობა	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის შემოწმების დროს, სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერმა ვერ წარმოადგინა მიმდინარე მოდულების სასწავლო ‘’კალენდარული გეგმები’’, ‘’საგამოცდო უწყისები’.
შენიშვნა	შემოწმდა პროფესიულ სტუდენტთა პირადი საქმეები. რამოდენიმე სტუდენტის პირად საქმეში არ მოიპოვება : ხელშეკრულება, ფოტო-სურათი, სასწავლო ბარათი;
რეკომენდაცია	ინსტრუქტორთა ურთიერთდასწრების ფურცლების შემოწმების დროს, გამოიკვეთა რეკომენდაცია, რომ ინსტრუქტორებმა უფრო მეტად გამოკვეთონ საჭიროებები.
რეკომენდაცია	SBFF-ზე გამოყენებული ცეცხლმაქრების გამოყენებისა და მათი შემდგომი დატენვის აღრიცხვის ჟურნალი გახსნილი 04.12.2023 ში 15.12.2023-ს მდგომარეობი შეუვსებელია.

საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მონიტორინგი

2023 წლის გეგმიური მონიტორინგი ჩატარდა 14 ივლისს. აუდიტის შედეგად გამოვლენილია 1 შეუსაბამობა, 3 შენიშვნა და 7 რეკომენდაცია. გამოვლენილი შეუსაბამობების მაკორექტირებელი ქმედება, შესრულების ვადები და შესრულების სტატუსი განთავსებულია სააგენტოს ელექტრონულ მოდულზე. აღსანიშნავია, რომ ამ დროისთვის აუდიტის შედეგად გამოვლენილი ყველა შეუსაბამობა, შენიშვნა და რეკომენდაცია სრულად აღმოფხვრილი და გათვალისწინებულია.

შეუსაბამობა	სიმულატორებთან დაკავშირებით შემოწმებული იქნა სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის 2014 წლის 25 დეკემბრის N05 „საზღვაო-საწვრთნელი დაწესებულებების აღიარებისა და საზღვაო-სასწავლო დაწესებულებებისა და საზღვაო-საწვრთნელი დაწესებულებების პერიოდული მონიტორინგის წესის“ დამტკიცების შესახებ ბრძანების მე-4[1] მუხლის, მე-3 პუნქტის მოთხოვნა, სანავიგაციო ხიდურის რესურსების მართვა (Bridge Resource Management), გემის მართვა და მანევრირება (Ship’s Handling) სამანქანე განყოფილების რესურსების მართვა (Engine Resource Management) განსაზღვრული წვრთნების დროს სიმულატორები უნდა გამოიყენებოდეს სრული შესაძლებლობით (Full mission) და აკმაყოფილებდეს

	დანართი №3-ის №1 და №2 ცხრილებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა ამ ბრძანების დანართი №3-ის №1 და №2 ცხრილებით გათვალისწინებულ მოთხოვნების შესაბამისობის სერტიფიკატი (STATEMENT OF COMPLIANCE).
შენიშვნა	სასწავლებელს გააჩნია აღნიშნული პროცედურა, ასევე გათვალისწინებული აქვს სიმულატორზე დაფუძნებული სავარჯიშოების ვალიდაცია და პერიოდული გადახედვა, დაწესებულებას არ გააჩნია პროცედურაში რა პერიოდით ახორციელებს კითხვების/სავარჯიშოების გადახედვას.
შენიშვნა	შიდა აუდიტის ანგარიში არ მოიცავს ყველა პასუხისმგებელი პირის ხელწერას.
შენიშვნა	ფიქსირდება ხარვეზები დოკუმენტაციის მართვაში
რეკომენდაცია	დაწესებულების ვებ-გვერდზე განახლდეს ინფორმაცია აღიარებული კურსების შესახებ.
რეკომენდაცია	იმ საკლასო ოთახებში, სადაც მიმდინარეობს ვიდეო-მონიტორინგი მითითებული იყოს ვიდეო-მონიტორინგის ნიშნულები.
რეკომენდაცია	შემოწმდა ''სსსც ეკვატორის'' დებულება #2-01-01. მუხლი 13-ის ე პუნქტში დაზუსტებით გაიწეროს სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის მიერ ხორციელდება საგამოცდო ბილეთებზე წვდომა და ამობეჭდვა მხოლოდ პრაქტიკულის.
რეკომენდაცია	*გადაიხედოს ნდ #2-04-01ქ კურსის განხორციელების ინსტრუქცია.*
რეკომენდაცია	სამოქმედო გეგმის შენიშვნის ველში გეგმის სტატუსების განახლებისას დაემატოს შესრულებული ღონისძიებების დასახელება / ვადები.
რეკომენდაცია	მკაცრად გაკონტროლდეს დოკუმენტთა მართვის პროცედურის მოთხოვნების შესაბამისად დოკუმენტაციის დაგზავნის საკითხი.
რეკომენდაცია	ელექტრონული ფოსტით ყველა თანამშრომლისათვის ხარისხის დოკუმენტის დაგზავნისათვის, თანამშრომლის გამოტოვების პრევენციის მიზნით შეიქმნას ჯგუფური მეილი „FOR ALL”.

საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს აუდიტი აღიარების მიზნით

2023 წლის 22 სექტემბერს, სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ, შპს ''სსსც ეკვატორში'' განხორციელდა საზღვაო-საწვრთნელი დაწესებულების აღიარების განახლება . აუდიტორთა ჯგუფის მიერ შემოწმდა საზღვაო-საწვრთნელი დაწესებულების პროცესები და შიდა ნორმატიული დოკუმენტაცია (სტრატეგიული განვითარების გეგმა, სამოქმედო გეგმები), მოქმედი ხარისხის მართვის სისტემა, დაწესებულების ინფრასტრუქტურა - შენობა-დანადგარები, მოქმედი საწვრთნელი აღჭურვილობები,

მოწყობილობები და საშუალებები,სასწავლო მასალები, საწვრთნელი კურსებისთვის საჭირო მასალების აღრიცხვა /ხარჯვა, ინსტრუქტორთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები, მათი პირადი საქმეები).

აუდიტის შედეგად გამოვლენილია 1 რეკომენდაცია და 1 შენიშვნა, რომელთა მაკორექტირებელი ქმედება, შესრულების ვადები და შესრულების სტატუსი განთავსებულია სააგენტოს ელექტრონულ მოდულზე.

შენიშვნა	შემოწმდა გამოკითხვის ონლაინ პლატფორმა, სადაც მსმენელები აფასებენ დაწესებულების მომსახურებას და ასევე წვრთნის ინსტრუქტორეს. აღნიშნული გამოკითხვა არ იძლევა სრულ შესაძლებლობას ინსტრუქტორის შესაფასებლად, რადგან არ ჩანს გამოკითხვაში ინსტრუქტორის ძლიერი და სუსტი მხარეები.
რეკომენდაცია	მკაცრად გაკონტრლდეს დოკუმენტთა მართვის პროცედურის შესაბამისად დოკუმენტაციის დაგზავნის საკითხი. ნდ 2-02-02 პროცედურის პროექტის თანახმად პუნქტში 2.5.4 მითითებულია, რომ დოკუმენტაციის გაცნობა ხდება ელექტრნულად outlook/gmail -ის სახით. თანამშრომლის პასუხისმგებელობაა გაეცნოს დოკუმენტაციას და იხელმძღვანელოს განახლებული ვერსიით.

სერტიფიკაციის ასოციაცია „რუსული რეგისტრი“-ს აუდიტი

2023 წლის 7 აპრილს სერთიფიკაციის ასოციაცია **„რუსული რეგისტრი“-ს** აუდიტორების მიერ ჩატარდა შპს საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორის შემოწმება ISO 9001:2015 სტანდარტის შესაბამისობაზე. შემოწმების შედეგად გამოვლენდა 2 შეუსაბამობა და 1 დაკვირვება, რომლებიც სრულად **აღმოფხვრილია.**

შეუსაბამობა	ევაკუაციის გარე კიბეზე არ არის სპეციალური ნიშანი, რომელიც კრძალავს მის გამოყენებას არაუფლებამოსილი პირების მიერ.
შეუსაბამობა	სასწავლო ცენტრის ინსტრუქტორების 2023 წლის ურთიერთდასწრების გეგმას არ აქვს დამტკიცების თარიღი.
დაკვირვება	ფიქსირდება ხმს-ს პუნქტი 7.3 -ის დარღვევა, არაა წარმოდგენილი პერსონალის გარე ნორმატიულ დოკუმენტებთან გაცნობის თარიღი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

2019 წელს რეავტორიზაციის გავლის შემდეგ, კოლეჯს მოპოვებული აქვს ორი მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის: **გემბანის რიგითი მეზღვაურის** და **სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაურის** მესამე დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლება.

A, B და C გარემოში განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამებით/მოდულებით გათვალისწინებული აუცილებელი მატერიალურ–ტექნიკური აღჭურვილობა.

პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

საგანმანათლებლო პროგრამების ‘’სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური’’ს და ‘’გემბანის რიგითი მეზღვაური’’-ს ფარგელბში, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის მიზნით 2023 9 თებერვალს, კოლეჯში განხორციელდა ხარისხის უზღუნვეყოფის და დარგის ექსპერტების ვიზიტი. ვიზიტის ფარგლებში შემოწმება განხორციელდა წინასწარ შეთანხმებული დღის განრიგის შესაბამისად. ექსპერტები დაწესებულებაში გაესაუბრნენ დაწესებულების ხელმძღვანელობას, ხარისხის უზრუნველყოფაზე, სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე, მატერიალური რესურსების მართვაზე, შესყიდვებზე, საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელ პირებს, ბიბლიოთეკარს, პროგრამის ხელმძღვანელებსა და განმახორციელებლებს. ექსპერტების მიერ განხორციელდა ავტორიზაციის სტანდარტებთან და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებაში კოლეჯის დოკუმენტაციის შესწავლა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და ბიბლიოთეკის დათვალიერება და სხვა.

შემოწმების შედეგად 2.2 კომპონენტი შეფასდა სრულ შესაბამისობად. ვიზიტმა ჩაიარა მშვიდ და საქმიან ვითარებაში. 2023 წლის 3 აპრილის საბჭოს გადაწყვეტილებით: სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაურის “პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გაიზარდა პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განისაზღვრა 140-ით (გადაწყვ. N 374639), გემბანის რიგითი მეზღვაურის “პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გაიზარდა პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განისაზღვრა 140-ით (გადაწყვ. N 374761).

2022-2023 სასწავლო წელს ჩარიცხული პროფესიული სტუდენტები

2023 სასწავლო წლისთვის დაწესებულებაში სახელმწიფო დაფინანსებით ირიცხება **278** აქტიური პროფესიული სტუდენტი, 138 - გემბანის რიგითი მეზღვაურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, 140 - სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრმაზე.

ამათგან:

2022 წლის მიღება		სულ **278** აქტიური პროფესიული სტუდენტი
გემბანის რიგითი მეზღვაური	72	
სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური	33	
2023 წლის მიღება		
გემბანის რიგითი მეზღვაური	66	
სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური	107	

დიპლომირება

2023 წელს სსსც ეკვატორის **94** პროფესიულ სტუდენტს მიენიჭა საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია (ბრძანება №956 / 6.02.2023)

მინიჭებული კვალიფიკაცია	
საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია	37 კურსდამთავრებული
გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია	57 კურსდამთავრებული

მეზღვაურთა სასწავლო, საწვრთნელი და სერტიფიცირების ცენტრი

„სსსც ეკვატორის“ სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ახორციელებს მოქმედი და დამწყები მეზღვაურებისთვის წვრთნისა და სერტიფიცირების კურსებს, STCW საერთაშორისო კონვენციის, ,,მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ'' საქართველოს კანონის, ,,მეზღვაურთა მომზადების, დიპლომირების და ვახტის გაწევის შესახებ'' კანონის შესაბამისად შესაბამისად.

2023 წელს განახლდა შემდეგი **23** მოდელ-კურსები:

მოდელ კურსი / Model course		გაცემის თარიღი
ნავთობმზიდი და ქიმმზიდი ტანკერის სატვირთო ოპერაციების საბაზისო წვრთნები	1.01	27.12.2022
ნავთობმზიდი ტანკერის სატვირთო ოპერაციების სპეციალიზირებული წვრთნა	1.02	01.09.2022
ქიმმზიდი ტანკერის სატვირთო ოპერაციების სპეციალიზებული წვრთნა	1.03	12.07.2022
რადარი, არლგს, ხიდურის გუნდური მართვა და საძიებო – სამაშველო ოპერაციებში	1.08	12.07.2022
საშიში და მავნე ნივთიერებების შეფუთული ან ნაყარი სახით გადაზიდვის მეთოდები	1.10	06.05.2022
პირველადი დახმარების აღმოჩენა	1.13	04.07.2023
პირადი გადარჩენის მეთოდები	1.19	06.07.2023
ხანძართან ბრძოლის ხმელეთზე განლაგებული ტრენაჟორული წვრთნა	1.20	12.01.2023
პირველადი სამედიცინო დახმარება	1.14	16.08.2023
სამედიცინო მომსახურება	1.15	16.08.2023
სანავიგაციო ხიდურის რესურსების მართვა	1.22	06.07.2023
გემის მართვა და მანევრირება	1.22 ა	15.09.2023
ქიმმზიდი ტანკერის სატვირთო და საბალასტო ოპერაციების მართვა	1.37	18.12.2023
ხანძართან ბრძოლის გაფართოებული წვრთნები	2.03	06.07.2023
სამანქანე განყოფილების რესურსების მართვა	2.07	15.09.2023

გემის უშიშროების ოფიცერ	3.19	16.08.2023
ლიდერობისა და მენეჯერული უნარების გამოყენება	1.40	31.05.2023
უშიშროების განსაკუთრებული ვალდებულებები	3.26	31.05.2023
უშიშროებასთან დაკავშირებული უნარ-ჩვევები	3.27	31.05.2023
ხელმძღვანელობა და გუნდური მართვა	1.39	15.09.2023
კოლექტიური სამაშველო საშუალებებისა და სამაშველო კატარღების მართვა (გარდა სწრაფმავალი სამაშველო კატარღებისა)	1.23	19.06.2023
ხანძრის თავიდან აცილება და ხანძართან ბრძოლა	1.20	04.07.2023
პირადი უსაფრთხოება და სოციალური პასუხისმგებლობა	1.21	11.04.2023

2023 წლის მდგომარეობით მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრში, წვრთნისა და სერტიფიცირების კურსები გაირა **1698** მსმენელმა.

2023 წელს განხორციელდა **1108** მოდელ-კურსი. (წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით **66%**-იანი ზრდა);

მსმენელი	1698
კურსი	1108

მეზღვაურთა საიდენტიფიკაციო ნომრების რეგისტრაცია მიმდინარეობს ელექტრონული პროგრამის მეშვეობითაც.

სისტემატიურად ვაახლებთ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, სასწავლო-საწვრთნელ საშუალებებს საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის მოდელ კურსების და საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს რეკომენდაციების შესაბამისად.

ადამიანური რესურსების მართვა, თანამშრომელთა მომსახურება

2023 წლის განმავლობაში HR მენეჯერის ორგანიზებით და ტრენინგ გეგმის შესაბამისად გაიმართა **19** ტრენინგი, რაც დასტურდება შესაბამისი მტკიცებულებებით.
2023 წელს ჯამში გადამზადდა **25** თანამშრომელი, რაც საერთო რაოდენობის **38%**-ს შეადგენს.

წლის განმავლობაში თანამშრომელთა წახალისებისა და მოტივაციის ამაღლების მიზნით გაიცა პრემია-დანამატები, ჯამში **5900** ლარის ოდენობით; გაიზარდა პედაგოგების საათობრივი ანაზღაურება.

დაწესებულებაში დანერგილია **პერსონალის შეფასების პროცედურა,** რომლის მიზანია ,- თანამშრომელთა პროფესიული უნარებისა და კომპეტენციების ობიექტური შეფასების უზრუნველყოფა და მასზე დაყრდნობით პერსონალის განვითარების საჭიროების, წახალისებისა და მოტივაციის ამაღლების შესაბამისი აქტივობების განსაზღვრა.

შეფასება ხდება წელიწადში ერთხელ, წლის ბოლოს. (ახალი სამოქმედო გეგმის შედგენამდე) და მოიცავს გასული სასწავლო წლის განმავლობაში შესრულებული სამუშაოს ხარისხის შეფასებას.

	შეფასებულთა საერთო რაოდენობა	მაღალი შეფასების მქონე პირი	საშუალო შეფასების მქონე პირი	დაბალი შეფასების მქონე პირი
ადმინისტრაციული პერსონალი	12	9	3	0
პროფესიული მასწავლებლები	11	8	3	0
ინსტრუქტორები	13	13	0	0

ბიბლიოთეკა

„სსსც ეკვატორის“ ბიბლიოთეკა სწავლისა და სწავლების მუშაობის პირობებს უქმნის პროფესიულ სტუდენტებს, სასწავლო, საწვრთნელი და სერტიფიცირების ცენტრის მსმენელებს, პროფესიულ მასწავლებლებს და ინსტრუქტორებს.

ბიბლიოთეკა პასუხობს საერთაშორისო და ეროვნული სტანდარტების მოთხოვნებს. სასწვალო პროცესების ხელშესაწყობად სისტემატურად ხდება ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის განახლება. ბიბლიოთეკა უზრუნველყოფილია სასწავლო ტექნიკური ლიტერატურით: ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენაზე.

ლიტერატურის შეძენა და განახლება ხდება ინსტრუქტორებთან და პროფესიულ მასწავლებლებთან შეთანხმებით.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შეადგენს **725** წიგნს, რომელთაგან ბოლო ერთი წლის განმავლობაში შეძენილია **36** ერთეული (საერთო რაოდენობის **5** %).

ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი აღწერილია წიგნთა ფონდის საინვენტარო ჟურნალში 07-02 (მფ2N030-01.31.08.09).

ბიბლიოთეკას გააჩნია როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული კატალოგი.

„სსსც ეკვატორი“ დარეგისტრირებულია საზღვაო ლიტერატურის საერთაშორისო საიტებზე, საიდანაც ხდება საჭირო ლიტერატურის შესყიდვა.

- https://shop.witherbys.com/
- https://novikontas.lv/en/
- https://www.amazon.com/
- https://www.thriftbooks.com/
- https://www.funnel2tunnel.com/

საქმისწარმოება

კანცელარიის ძირითად ფუნქციას წარმოადგენს დოკუმენტ-ბრუნვასთან დაკავშირებული სამუშაოების ორგანიზება, ხელმძღვანელობა, კოორდინაცია და კონტროლი.

„სსსც ეკვატორში“ დოკუმენტებზე მუშაობის ორგანიზება წარმოებს ელექტრონული ფორმით (E FLOW), რაც გულისხმობს დოკუმენტის მიღებას, რეგისტრაციას, ელექტრონულ ფორმატში გადაყვანას და ადრესატისათვის დაუყოვნებლივ გადაგზავნას.



2023 წლის ხარისხის მიზნების შესრულების ანალიზი

„სსსც ეკვატორის“ პოლიტიკიდან გამომდინარე ხარისხის მენეჯმენტის მუდმივი გაუმჯობესებისათვის შპს „სსსც ეკვატორის'' ადმინისტრაციის მიერ შედგენილი მიზნების ანალიზი ასე გამოიყურება:

2023 წლის მიზნები:	შესრულების მაჩვენებელი:
ხარისხის სისტემის დოკუმენტაციის განახლება 20%-ით;	განახლდა 31%-ით; იხ. გვერდი 7; ''საანგარიშო პერიოდში ნორმატიულ დოკუმენტებში განხორციელებული ცვლილებები'';
ბიბლიოთეკის ფონდის გაზრდა 5 %-ით;	გაიზარდა 5%-ით; იხ. გვერდი 16; ''ბიბლიოთეკა'';
პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა 40%-ით;	სსსც ეკვატორში განხორციელებული ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფების ვიზიტების დასკვნები და გადაწყვეტილება. იხ.გვერდი 12 ''პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა''.
პერსონალისა და ინსტრუქტორ-მასწავლებლების 30%-ის კვალიფიკაციის ამაღლება;	შესრულდა 38%-ით; იხ. გვერდი 14. ''ადამიანური რესურსების მართვა, თანამშრომელთა მომსახურება''

კვლევები

ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, კოლეჯში მიმდინარეობს ძირითადი და დამხმარე პროცესების სისტემური შეფასება, არსებული ხარვეზებისა და ნაკლოვანებების აღმოჩენა, ხარვეზების აღმოსაფხვრელად საჭირო ნაბიჯების დაგეგმვა, განხორციელება. ეს პროცესი ეყრდნობა ხარისხის უზრუნველყოფის სფეროში ერთ-ერთ ყველაზე ფართოდ გავრცელებულ მეთოდს (PDCA), რაც გულისხმობს შემდეგს:

- **PLAN** (დაგეგმე)
- **DO** (განახორციელე)
- **CHECK** (შეამოწმე)
- **ACT** (იმოქმედე/განავითარე)

2023 წელს დაწესებულებაში განხორციელდა გამოკითხვა 9 მიმართულებით:

- ადმინისტრაციული პერსონალის კითხვარი;
- პროფესიული სტუდენტების კითხვარი;
- პროფესიული მასწავლებლების კითხვარი;
- კურსდამთავრებულთა კითხვარი;
- საწვრთნელი ცენტრის მსმენელთა კითხვარი;
- საწვრთნელი ცენტრის ინსტრუქტორთა კითხვარი;
- ხარისხის მართვის სისტემის საქმიანობის შეფასება;
- დამსაქმებლის კითხვარი;
- მომწოდებლების შეფასება;

ადმინისტრაციული პერსონალის კითხვარი:

აღნიშნულ კითხვარს უპასუხა 17 ადამიანმა, რაც საერთო რაოდენობის 100 % შეადგენს.

გამოკითხვის მიხედვით, ცალსახაა, რომ გამოკითხული პერსონალი ინფორმირებულია დაწესებულების მისია, ხედვასა ღირებულელებზე. ისინი, თავიანთი საქმიანობის ჭრილში, ჩართულები არიან სამოქმედო გეგმის შემუშავებაში. 2 ადამიანი პასუხობს, რომ არ აქვს ინფორმაცია წახალისების, დისციპლინური პასუხისმგებლობისა და გათავისუფლების შესახებ. აქედან გამომდინარე, 2024 წლის თებერვლის თვეში ელექტრონული მეილების საშუალებით, ადმინისტრაციულ პერსონალს ხელახლა დაეგზავნება ნორმატიული დოკუმენტები: 2-01-06 შინაგანაწესი, 2-06-02 პერსონალის მართვის პოლიტიკა.

ღია კითხვებში დატოვებული კომენტარებიდან გამომდინარე, მათი სურვილის გათვალისწინებით გამოიკვეთა სტრუქტურული ერთეულების გადამზადების საჭიროება, თითოეულის სამუშაო საქმიანობის მიხედვით, რაც გათვალისწინებულ იქნება 2024 წლის სამოქმედო გეგმასა და თანამშრომელთა ტრენინგ-გეგმაში.

პროფესიული სტუდენტების კითხვარი:

პროფესიული სტუდენტების კითხვარში მონაწილეობა მიიღო 200-დან 124-მა სტუდენტმა, რაც საერთო რაოდენობის **62 %**-ს შეადგენს. კვლევის ფონზე აშკარაა, რომ უმრავლესობა (98% და მეტი) კმაყოფილია საგანმანათლებლო პროგრამით, ინფორმირებულნი არიან მათი უფლება-მოვალეობების შესახებ. სტუდენტები კმაყოფილნი არიან პედაგოგების კომპეტენციით, სწავლის მეთოდით, მატერიალურ-ტექნიკური რესურსით.

პროფესიული მასწავლებლების კითხვარი:

აღნიშნულ კითხვარს უპასუხა 17 პროფესიულმა მასწავლებელმა.

გამოკითხვის მიხედვით, ცალსახაა, რომ ყველა პედაგოგს აქვს ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების სურვილი და მზაობა.

პედაგოგები თვლიან, რომ სასწავლებელი სრულად აკმაყოფილებს მოდულების მოთხოვნიდან გამომდინარე მატერიალურ-ტექნიკურ რესურსს.

გამოკითხულთა 82 % მიიჩნევს, რომ სწავლების ეფექტურად წარმართვის მიზნით საჭიროა დამატებითი ტრენინგ-კურსები, რაც გათვალისწინებულ იქნება 2023 წლის სამოქმედო და ტრეინინგ გეგმაში.

კურსდამთავრებულთა კითხვარი:

აღნიშნული კითხვარი დაეგზავნა 2023 წლის 94 კურსდამთავრებულს. კვლევაში მონაწილეობა მიიღო ორმოცდაშვიდმა, რაც საერთო რაოდენობის 50 % შეადგენს.

გამოკითხულთა უმრავლესობამ დაწესებულების შესახებ ინფორმაცია მიიღო, პროფორიენტაციის ფარგლებში, სკოლებში გასვლითი ვიზიტების დროს, რაც აუცილებლად გათვალისწინებულ იქნება 2024 წლის პროფორიენტაციის დროს, სამოქმედო გეგმაშიც გაიწერება უფრო მეტი მასპინძელი სკოლა.

გამოკითხულთა 60% დასაქმებულია, ხოლო 9 % აქვს დოკუმენაცია მზად შორეულ ნაოსნობაში დასასაქმებლად.

გამოკითხულთა უმრავლესობა კმაყოფილია ‘‘სსსც ეკვატორში’’ სწავლით, სასწავლო პროგრამით, მასწავლებლებით.

საწვრთნელი ცენტრის მსმენელთა კითხვარი:

აღნიშნული კვლევა მიზნად ისახავს დაწესებულების საქმიანობის, რესურსების, შეთავაზებული სერვისების უწყვეტ შეფასებას, განვითარებისთვის ხარისხის შენარჩუნებას და გაუმჯობესებას. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 1614 მსმენელმა. გამოკითხულთა უმრავლესობა დადებითად აფასებს დაწესებულების მომსახურებას, სასწავლო გარემოს, ინსტრუქტორებს, რესურსებსა და ადმინისტრაციულ პერსონალს. თუმცა გამოიკვეთა რიგი მნიშვნელოვანი მითითებები - ღია კომენტარებში. გთავაზობთ რამდენიმეს: ვისურვებდით

ახალგაზრდა ინსტრუქტორებს “; წარმატებები და მეტი პროფესიონალი ინსტრუტორი ლაშა ქობალავას სახით “; რეგისტრაციის დროს კეთილგანწყობას “;

საწვრთნელი ცენტრის ინსტრუქტორთა კითხვარი:

აღნიშნულ კითხვარს უპასუხა ცამეტმა ადამიანმა, რაც საერთო რაოდენობის 43 % შეადგენს.

გამოკითხვის მიხედვით, ცალსახაა, რომ ყველა ინსტრუქტორს გავლილი აქვს შესაბამისი კურსები მეზღვაურთა შეფასების მეთოდიკასთან დაკავშირებით, რომ აქვთ ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების სურვილი და მზაობა.

ინსტრუქტორები თვლიან რომ სასწავლებელი **სრულად** აკმაყოფილებს მოდელ-კურსების მოთხოვნიდან გამომდინარე მატერიალურ-ტექნიკურ რესურსს.

ყველა ინსტრუქტორს აქვს პრაქტიკული გამოყენების გამოცდილება კონკრეტული ტიპის სიმულატორისა, რაც საჭიროა სიმულატორზე დაფუძნებული საწვრთნელი კურსის მომზადებისთვის.

გამოკითხულთა 76 % მიიჩნევს, რომ სწავლების ეფექტურად წარმართვის მიზნით საჭიროა დამატებითი ტრენინგ-კურსები, რაც გათვალისწინებული იქნება 2024 წლის სამოქმედო და ტრეინინგ გეგმაში.

ხარისხის მართვის სისტემის საქმიანობის შეფასება:

აღნიშნულ კითხვარს უპასუხა ორმოცმა ადამიანმა, რაც საერთო რაოდენობის 60 % შეადგენს.

გამოკითხვის მიხედვით, ცალსახაა, რომ გამოკითხული პერსონალი კმაყოფილია ხარისხის მართვის საქმიანობით. თუმცა, ღია კითხვებზე დატოვებული კომენტარებიდან გამოიკვეთა რიგი საჭიროებები, კერძოდ, ტრენინგები და გადამზადებები - სწავლების თანამედროვე მიდგომებზე, აუდიტორიასთან მუშაობასა და კალენდარული გეგმის სწორად შემუშავებაზე.

აღნიშნული საჭიროებები გათვალისწინებულ იქნება 2024 წლის სამოქმედო გეგმასა და თანამშრომელთა ტრენინგ-გეგმაში.

კითხვაზე - „ხარისხის მართვის სამსახურის მხრიდან რა დამატებითი სერვისი გაზრდიდა პერსონალის, პროფესიული სტუდენტების თუ მსმენელების კმაყოფილების ხარისხს’’, გამოკითხულთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ შიდა მხარდაჭერის ჯგუფის ხშირი შეხვედრები, დარგის სპეციალისტების გამოცდილების გაზიარება არის ზოგადად მაღალი ხარისხის აუცილებელი პირობა.

მიუხედავად იმისა, რომ გასულ წელს სტანდარტების მოთხოვნებიდან და რეგულაციებიდან გამომდინარე პერმანენტულად ტარდებოდა შიდა შეხვედრები, მოთხოვნის გათვალისწინებით, უფრო მეტი სიხშირით დაიგეგმება 2024 წელს, რაც ასევე აისახება დაწესებულების სამოქმედო გეგმაში.

დამსაქმებლის კითხვარი:

აღნიშნულ კითხვარს უპასუხა ათმა საკრუინგო კომპანიამ, რომლებთანაც დაწესებულებას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი.

მემორანდუმის ფარგლებში საკრუინგო კომპანიები უზრუნველყოფენ პროფესიული სტუდენტებისთვის დამოუკიდებელი მუშაობის გამოსავლენად საჭირო პირობის შექმნას და შესაძლებლობის ფარგლებში ხელს უწყობს კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა დასაქმებას.

გამოკითხვის მიხედვით, ცალსახაა, რომ ყველა საკრუინგო კომპანია კმაყოფილია სსსც ეკვატორის მიერ გაწეული მომსახურებით, ჩვენი კურსდამთავრებულებით, რომლებიც მათი მხარდაჭერით და შუამავლობით დასაქმებულნი არიან სხვადასხვა დროშის ქვეშ მცურავ გემებზე.

გამოკითხულთა 100 % აპირებს ჩვენთან თანამშრომლობის გაგრძელებას.

ზემოთ ჩამოთვლილთაგან , ისღა დაგვრჩენია, რომ არსებული კურსი შევინარჩუნოთ და მუდმივად ვიზრუნოთ განვითარებაზე.

მომწოდებლების შეფასება:

აღნიშნულ კითხვარს უპასუხა 41 ადამიანმა, რაც საერთო რაოდენობის 62 % შეადგენს.

გამოკითხვა ჩატარდა მომწოდებლების მიერ შემოთავაზებული მომსახურების ხარისხის და საჭიროების კვლევის დასადგენად.

კერძოდ:

- ცეცხლმაქრების მომწოდებელი;
- საკანცელარიო ნივთების მომწოდებლები;
- ტექნიკური აღჭურვილობის მომწოდებლები;
- სანიტარულ-ჰიგიენური საშუალებების მომწოდებლები;

მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფაზე პირის გამოკითხვის შედეგად ცალსახაა, რომ ყველა ზემოხსენებული მომწოდებელი კომპანიის მხრიდან ხდება გაუმჯობესებული პროდუქციისა და შეღავათიანი მომსახურების შემოთავაზება მოწოდების დროს.

კვლევამ აჩვენა, რომ სხვადასხვა ტიპის ცეცხლმაქრის ხარისხი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

მხოლოდ 5 ადამიანი თვლის, რომ საკანცელარიო ნივთების ხარისხი საჭიროებს გაუმჯობესებას. ამ შემთხვევაშიც დაევალა მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მენეჯერს, შესყიდული პროდუქციის ხარისხის გადამოწმება და საჭიროების შემთხვევაში ცვლილების განხორციელება.

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ დაწესებულებასთან გარე მომწოდებელი კომპანიების თანამშრომლობა სტაბილური და პუნქტუალურია და მათ მიერ მოწოდებული პროდუქცია შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

2023 წლის რისკების შეფასება

2023 წელს ხელმძღვანელობის მიერ იდენტიფიცირებულ იქნა მოსალოდნელი რისკები („რისკების რეესტრი 2023” (ნდ2-02-15). გამოვლინდა სულ 12 რისკი. თითოეულ მათგანზე გაიწერა რისკის მართვის საშუალება და რისკების მფლობელი.

„სსსც ეკვატორის“ ხელმძღვანელობამ მიიღო ზომები, რომ მაქსიმალურად აერიდებინა რისკის დაშვება.

აქედან გამომდინარე, დაწესებულების მიერ გატარებული ღონისძიებებით, 2023 წლის განმავლობაში არცერთი რისკი არ დამდგარა.

ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები

ძლიერი მხარეები:

- მრავალწლიანი ტრადიცია და გამოცდილება, სტაბილურობა და მდგრადობა, სიახლეებისადმი ღიაობა;
- საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა (ხარისხის საერთაშორისო ISO 9001:2015 მოთხოვნებთან შესაბამისობის, IQNet-ის და დარგობრივი შემოწმებების/დადასტურების სერტიფიკატები);
- საზღვაო სფეროში „სსსც ეკვატორის “საქმიანობის საერთაშორისო აღიარება. საზღვაო სფეროს საგანმანათლებლო პროგრამების და მომზადება/გადამზადების კურსების IMO-ს სტანდარტებთან შესაბამისობა, მაღალი მოთხოვნადობა და კონკურენტუნარიანობა;
- „სსსც ეკვატორის“ თანასაზოგადოების გაზიარებული მისია, რომელიც მოიცავს განათლებისა და სერტიფიცირების სფეროს მიდგომებს ხარისხისადმი, კორპორაციულ კულტურის და ეთიკის პრინციპებს.
- ხარისხის მართვის ეფექტიანი სისტემა;
- მართვის გამჭვირვალე მეთოდები. ცენტრალიზებული და დეცენტრალიზებული მართვის რაციონალური კომბინაცია. „სსსც ეკვატორის“ მართვაში და სხვადასხვა კომისიებში პერსონალის და სწავლების სუბიექტთა ჩართულობა. მოქნილი სტრუქტურა, სტრუქტურული ერთეულების გამართული მუშაობა;
- საქმიანობის გამჭვირვალობა, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა;
- პოზიტიური გარემო. სწავლისა და შრომისათვის შექმნილი კეთილმოწყობილი, უსაფრთხო და კეთილმოწყობილი „ფიზიკური გარემო“. საგანმანათლებლო საქმიანობის სათანადო უზრუნველყოფა;
- სწავლების სუბიექტზე ორიენტირებული გარემო, მათი ინტერესების, შესაძლებლობების და საჭიროებების გათვალისწინება, განათლების მომსახურების თანაბარი ხელმისაწვდომობა, საინფორმაციო და ადმინისტრაციული მხარდაჭერის სერვისები, სოც. მხარდაჭერის და წახალისების მოქმედი მექანიზმები;

- „სსსც ეკვატორის“ ყველა წევრის განვითარებისა და ინიციატივების ხელშეწყობა. უწყვეტი განათლების და განვითარების შესაძლებლობა;
- საგანმანათლებლო პროგრამებზე (ძირითადად საზღვაო ტრანსპორტის სფეროს საგანმანათლებლო პროგრამები) და სასწავლო-საწვრთნელ კურსებზე სტაბილური მოთხოვნადობის შენარჩუნება. კურსდამთავრებულთა და სასწავლო-საწვრთნელი კურსების მსმენელების კონკურენტუნარიანობა და დასაქმების მაღალი მაჩვენებელი;
- „სსსც ეკვატორის“ საერთაშორისო საზღვაო დარგში არსებულ მოთხოვნებზე სწრაფი რეაგირება;
- „სსსც ეკვატორის“ ფუნქციონირებისთვის საჭირო ადამიანური, მატერიალურ-ტექნიკური, ფინანსური რესურსების არსებობა;
- კომპეტენტური, მრავალწლიანი გამოცდილების მქონე ადმინისტრაციული, დამხმარე და აკადემიური პერსონალი პერსონალის სტაბილურობა. პერსონალის მართვის სისტემა, პერსონალის განვითარების ხელშეწყობა;
- საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი ინფრასტრუქტურა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ბიბლიოთეკის რესურსებთან დისტანციური წვდომა, საინფორმაციო-საკომუნიკაციო და ავტომატიზირებული სასწავლო პროცესის მართვის სისტემები. მართვაში, საგანმანათლებლო და სხვა საქმიანობაში საინფორმაციო ტექნოლოგიების ფართო გამოყენება;
- საერთაშორისო და ადგილობრივ საგანმანათლებლო, სამეცნიერო და დარგობრივ სივრცეში ინტეგრირება, პოტენციურ დამსაქმებლებთან თანამშრომლობა;

რეგიონის ცხოვრებაში ჩართულობა. „სსსც ეკვატორის“ საზოგადოებრივი საქმიანობა, სოციალური პასუხისმგებლობა, საქმიანი ურთიერთობების ეთიკა, პოზიტიური იმიჯი და კონკურენტუნარიანობა.

გასაუმჯობესებელი მხარეები:

- არაეფექტური რეკლამირება;
- „სსსც ეკვატორის“ აკადემიური პერსონალის დაბალი აქტივობები;
- სტუდენტების არასაკმარისი დაინტერესება;
- სტუდენტური სერვისების ნაკლებობა;
- „სსსც ეკვატორის“ პერსონალის მიერ სხვადასხვა პროექტების მომზადების, სტუდენტებისთვის და პერსონალისთვის ტრეინინგების, მასტერ-კლასების და სხვ. მწირი რაოდენობა;
- პერსონალის ნაწილის უცხო ენების და IT-ტექნოლოგიების ფლობის გასაუმჯობესებელი დონე;
- „სსსც ეკვატორის“ პერსონალის განვითარების მიზნით ტრეინინგების, მასტერ-კლასების და სხვ. გასაზრდელი რაოდენობა;
- საგანმანათლებლო საქმიანობაში ელექტრონული სწავლების ტექნოლოგიების გამოყენების გასაუმჯობესებელი დონე;

გამომავალი მონაცემები

1. გადაიხედოს ხარისხის პოლიტიკა, ხარისხის მიზნები დაჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით;
2. გადაიხედოს დებულებები, ფუნდამენტალური პროცედურები და სამუშაო აღწერილობები;
3. შიდა რეგულაციების შესრულების მექანიზმის გაძლიერება;
4. პროცესებთან დაკავშირებული რისკების შეფასება და მათი დონის შემცირების მექანიზმების გაძლიერება;
5. დაინტერესებული მხარეების მიზნობრივი კვლევების გამრავალფეროვნება;
6. პერსონალის განვითარების სამოქ. გეგმის შემუშავების და შესრულების მექანიზმების გაძლიერება;
7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ვერიფიკაციის მექანიზმების გაძლიერება;
8. საწვრთნელი კურსების განხორციელების ხარისხის ამაღლება.

კონფიდენციალურობა

ხმს ანალიზი წარმოადგენს შპს „სსსც ეკვატორის“ შიდა ნორმატიულ დოკუმენტს და არ ექვემდებარება მესამე მხარისთვის წარდგენას, გარდა აუდიტორებისა შიდა, გარე და ინსპექციური შემოწმების დროს.

დებულებაში ცვლილებათა აღრიცხვის ფურცელი

ცვლილებათა საფუძველი	ცვლილებების დამტკიცების თარიღი	შეცვლილი გვერდები	კორექტირების შემსრულებელი პირის ხელმოწერა

პერიოდული შემოწმების აღრიცხვის ფურცელი

№	პერიოდული შემოწმების თარიღი	შემმოწმებლის სახელი, გვარი თანამდებობა	ხელმოწერა	შესწორებას ექვემდებარება პუნქტები